პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

13 სექტემბერი

სამშაბათი

1898. ქიევში გაიხსნა პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— მთავრობამ გამოსცა დეკრეტი რძის და ხილის პროდუქტების ნატურალურ გადასახადის შესახებ.

— საფრანგეთი მძიმე ფინანსიურ კრიზისს განიცდის.

— პოლონეთში გაიფიცნენ [illegible] მუშები.

— ბავარიაში დევნიან კომუნისტებს და კომუნისტურ გაზეთებს ხურავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 159 სამშაბათი, 13 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 13 სექტემბერი, 1921 წ. № 159

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს პარტიულ დისციპლინის წესით გამოცხადდენ ს. კ. პ. ცკაში, ოთახი № 4 (საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილება), ორშაბათს, 12 სექტემბერს 3 საათზე პარტიის გაწმენდის შესახებ ინსტრუქციების მისაღებათ.

1. ბოლქვაძე ვანო, 2. ჯულელი სიმონ, 3. წივწივაძე ილია, 4. სტურუა ვანო, 5. მაჩაიძე ბაგრატიონ, 6. როთველაძე გიორგი, 7. ვაშაკიძე ვალერიან, 8. კალანდაძე ერმილე, 9. კიკნაძე ნიკოლოზ, 10 თოდრია სილიბისტრო, 11. ლეჟავა ნოე, 12. მორჩილაძე, 13. მიროტაძე ლევან, 14. ფირცხალავა ანდრო, 15 სტურუა გიორგი. 16. რცხილაძე (1 რაიკომი), 17. სუხიშვილი ლადო, 18. ცინცაძე კოტე, 19. ჩხეიძე გიორგი. 20. აივაზოვი ნიკოლოზ, 21. დოლბაჩევი დარჩო.

მდივანი ც. კ. მ. ორახელაშვილი.

მშრომელთა თვითმოქმედება

ვოლგას განაპირა გუბერნიებში მოუსავლობამ და შიმშილობამ ფრთები შეასხა საბჭოთა რესპუბლიკის დაუძინებელ მტრებს და იმედები გაუღვივა, თუ ვერც შინაურმა კონტრ რევოლიუციამ და ვერც გარეშე იმპერიალისტების ურდოების თავდასხმამ ვერ დასცა მუშურ-გლეხური მთავრობა რუსეთში, შიმშილობა უსათუოდ ძირს გამოუთხრის და სულ მოკლე ხანში დაამხობს კომუნისტურ მთავრობას და მუშურ-გლეხურ დიქტატურასო, ასე გაიძახოდენ და ღაღადებდენ ყველა ჯურის თეთრგვარდიელები მენშევიკ-ესერებთან ერთად, რომელთაც ევროპის იმპერიალიზმის კალთებ ქვეშ შეუფარებიათ თავი: ისინი დარწმუნებულნი იყვენ და ქვეყანასაც არწმუნებდენ, რომ ბოლშევიზმის ბუნებას ნგრევა უფრო შეეფერება, ვინემ შენება; რომ საბჭოთა მთავრობა და მასთან ერთად რუსეთის მუშათა კლასი თავს ვერ გაართმევენ იმ გაჭირვებულ დაბრკოლებას, რაც უანდერძა რუსეთს წინანდელმა რეჟიმმა ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობის სახით, ხოლო სტიქიურმა უბედურებამ კიდევ უფრო გაამწვავა და გააფართოვა. ამ რწმენას შეუფარდეს მათ თავისი მოქმედება. „უმაღლესი კულტურის და ცივილიზაციის მატარებელ ჯგუფებმა" დამშეულთა დახმარების მაგიერ გააფთრებული კამპანია დაიწყეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მოითხოვდენ და მოითხოვენ ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებისგან იარაღით გალაშქრებას რუსეთის წინააღმდეგ. და ეს მთავრობებიც დროს არ კარგავენ, აღმოსავლეთის მიმართულებით პურის მაგიერ ზარბაზნებს, ტყვიისმფრქვევლებს და სხვა საომარ მასალას აგზავნიან რეაქციონურ პოლონეთის, რუმინიის და სხ. შესაიარაღებლათ საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის მიზნით. არც ერთი გირვანქა პური ვოლგის დამშეულ გუბერნიების გლეხებს ჯერ არ მიუღიათ მდიდარ და „კულტუროსან" საფრანგეთ-ინგლისის მთავრობების ხელიდან, არც მიიღებენ ალბათ. არც უნდა ელოდენ ბურჟუაზიულ ნაზარეთიდან დახმარებას. ამხ. ლენინმა რუსეთის გუბერნიების დამშევის გამო მოწოდებით მიმართა მხოლოდ ევროპა-ამერიკის მუშებს და სოფლის წვრილ მეურნეთ. მისამართი სწორი გამოდგა. მხოლოდ ევროპა-ამერიკის მშრომელთ შეუძლიათ გულწრფელად მიიჩნიონ რუსეთის დამშეულ მუშა-გლეხების უბედურება თავიანთ უბედურებათ, მხოლოდ მათ შეჰფერისთ თავიანთ ლუკმიდან ნაწილის გაღება იმათ სასარგებლოთ, ვინც თავს იდევს ბრძოლა მსოფლიო იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის დასანხობად. მსოფლიოს მშრომელთა დახმარება, რაიც უკვე ხორციელდება, შეძლებას მისცემს საბჭოთა მთავრობას სტიქიურ უბედურებასთან გასამკლავებლათ.

მაგრამ ეს არ კმარა. მთავარი საშუალება, ეს რუსეთის და მისი მოკავშირე საბჭოთა ქვეყნების მუშა-გლეხების თვითმოქმედებაა. უძნელეს, თითქმის გამოუსავალ, პირობებში ჩავარდნილი რუსეთის მუშა გლეხები ყოველთვის ენთუზიაზმით და შეერთებული ძალებით ეკვეთებოდენ მოზღვავებულ უბედურებას. მათ ორჯელ მიიტანეს რევოლიუციური იერიში გაბატონებულ კლასებზე და ბოლოს დაიმკვიდრეს მთელი ძალა-უფლება. მათ საარაკო გმირობით და გამძლეობით მოიგერიეს საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით უთვალავი იმპერიალისტური ლაშქარი ათეულ ფრონტებზე. შეერთებული ძალებით-ვე ისინი დასძლევენ საშინელ ხელმწიფის — შიმშილის, ძლიერებასაც. დღეს ეს უეჭველია. შიმშილობის ფრონტზე საბჭ. რუსეთის გამარჯვება დღეს უდავოა.

ვოლგის გუბერნიებში დაწყებულ კამპანიას მიზნათ ჰქონდა დასახული უპირველესად სათესლე მასალის დროზე მიწოდება დამშეულთათვის, რათა საზამთრო ყანები დაუთესავი არ დარჩენილიყო; შემდეგ კი მიწოდება დამშეულთათვის გამოსაკვები სურსათ-სანოვაგის. საერთოდ ამ ორივე მიზნისათვის საჭიროა 60 მილიონი ფუთი ხორბალი. ამ რაოდენობიდან სათესლეთ საჭირო იყო 9—10 მილიონი ფუთი. საბჭოთა მთავრობის ორგანოების ენერგიულ ამუშავებამ და მუშა გლეხების ამოძრავებამ შედეგათ მოიტანა ის, რომ ჯერ კიდევ 25 აგვისტოს ვოლგას გუბერნიებისათვის მზად იყო 5 მილიონი ფუთი სათესლე, ხოლო ორი კვირის შემდეგ მთელი რაოდენობა სათესლე მასალის მოგროვებულია და დანიშნულებისამებრ გაგზავნილი! ეს შესძლო „ნიადაგ გამოცლილმა" საბჭოთა მთავრობამ, ეს შესძლეს „ნანგრევებათ ქცეულ" რუსეთის მუშებმა და გლეხებმა! ეს შესძლო იმ ქვეყანამ, სადაც 7 წლის განმავლობაში ომიანობის ალი არ ჩამქრალა, სადაც ტრანსპორტი ძალზე დაზიანებულია.

ვისაც არ სწამდა საბჭოთა რესპუბლიკის უნარიანობა, ვისაც არ სწამდა მუშურ-გლეხური დიქტატურის ორგანიზაციული ნიჭი—ჩაუკვირდეს ამ მოვლენას, ჩასწვდეს მის ღრმა მნიშვნელობას და შემდეგ დააფასოს საბჭოთა რუსეთის შინაგანი ბუნება, შემდეგ მოიგონოს მისი ანდერძის აგება და სულთათანას გალობა.

პირველი მიზანი მიღწეულია, ვოლგას გუბერნიების ნოყიერი ყანები დათესილი იქნება, საგაისო საბჭოთა რუსეთს და მის მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებს კვლავ გაუჩნდებათ წითელი მდინარის გაყოლებით მდიდარი პურის ბეღლები.

მეორე მიზანი დგას ჩვენს წინ. დამშეულ მიწის მუშებს დახმარება სჭირიათ, რათა შემდეგი წლის მოსავლამდე თავი დაირჩინონ. საბჭოთა მთავრობა შესძლებს ამ უფრო რთულ მიზნის განხორციელებასაც. ამის თავდებია როგორც რუსეთის მუშა-გლეხების კოლექტიური ნებისყოფა, ისე დახმარება მთელი მსოფლიოს მშრომელთა. ამის თავდებია ისიც, რომ საქართველოს მშრომელნი უკვე ამოძრავდნენ თავის მოძმეთა დასახმარებლად და შემდეგშიაც არ ჩააქრობენ ამ პროლეტარულ სოლიდარობის საღვთო ალს.

მუშურ გლეხურ სახელმწიფოს დამცველი უნდა იყოს იგივე მუშებისა და მშრომელი გლეხებისაგან შემდგარი წითელი არმია. ამ არმიას უნდა ხელმძღვანელობდნენ მუშებისა და გლეხებისაგანვე გამოყოფილი და გაწვრთნილი წითელი კამანდირები. მუშებო და გლეხებო, ჩაეწერეთ კამანდირების კურსებზე!

ვინ უნდა გაუძღვეს წითელ ჯარს?

ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ შექმნა საკუთარი, მუშებისა და მშრომელ გლეხებისაგან შემდგარი წითელი ჯარი, რომელმაც სამი წლის გმირული ბრძოლის შემდეგ დალეწა თეთრგვარდიელების მიერ ჩვენ ირგვლივ შემოვლებული რკინის სალტე. ეს დიდი გამარჯვება ადვილათ არ იქნა მიღწეული. წითელ ჯარს საქმე ჰქონდა მრავალ რიცხოვან, იარაღში ჩამჯდარ, განვითარებულ სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელი მონაპოვარითა და განვლილ დიდ ომებში შეძენილ გამოცდილებით აღჭურვილ მტერთან. მის მხარეზე იყო მატერიალური და ტეხნიკური უპირატესობა. მიუხედავათ მტრის ასეთი სიძლიერისა და იმპერიალისტური ომისა და რევოლიუციის ცეცხლში გამოვლილ ქვეყნის მეურნეობის დაშლისა, რომლის ძნელ პირობებში მოუხდა ბრძოლა სოციალისტურ სახელმწიფოს, მან გამარჯვებით თავი დააღწია მის წინაშე აღმართულ საფრთხეს. ჯარის შემადგენლობა მუშურ-გლეხური მასებისაგან, ასეთივე მშრომელი ელემენტებისაგან შემდგარი მეთაურების ხელმძღვანელობით, რწმენა იმისა, რომ მქონებელ კლასების წინააღმდეგ ისინი იცავენ თავის კერას და შრომას მოსალოდნელი განადგურებისაგან—ესე იყო უმთავრესი მიზეზი, რომელმაც გადაწყვიტა პირველი დიდი ანტი-იმპერიალისტური ომის კამპანია საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლოთ. ჩვენი რევოლიუციონური ომის პირველი პერიოდი დროებით დამთავრდა ჩვენი დიდი გამარჯვებით, მაგრამ მტერი განადგურებული არ არის- ის ხელახლა საომრათ ემზადება, რაზმავს თავის ძალებს, აწყობს რუსეთის განაპირა პატარა სახელმწიფოების კოალიციას, ხელახლა ამზადებს შინაურ რეაქციას რევოლიუციაზე თავდასასხმელათ და თავისი ძველი ზრახვების სისრულეში მოსაყვანათ: ჩვენი ქვეყანაც, საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, შეადგენს, თავისი მიზნებისა და მამოძრავებელი ძალების მიხედვით, ბუნებრივ ნაწილს საერთო სოციალისტურ სახელმწიფოთა სისტემისას. ცხადია ჩვენი მომავალი მჭიდროთ გადაჯაჭვულია დიდ საბჭოთა ფედერაციის ბედ-იღბალთან. საფრთხე მის წინააღმდეგ—ეს ჩვენი საკუთარი საფრთხეა. დამარცხება მისი—ეს ჩვენი დამარცხებაა, როგორც გამარჯვება მისი არის ჩვენივე გამარჯვება. ხოლო უდიდესი გარანტია ჩვენი გამარჯვებისა, მშრომელი ხალხის, ჩვენი მუშებისა და გლეხების მიზნების საბოლოოთ განხორციელებისა—არის ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძალის შექმნა. ამ მუშაობაში ჩაბმულია საქართველო დღიდან საბჭოთა რეჟიმის გამოცხადებისა. მან უნდა შექმნას—მან რამდენიმეთ უკვე მოახერხა ეს—ახალი მიზნებით გამსჭვალული წითელი ჯარი მუშებისა და გლეხებისაგან.

ვინ უნდა გაუძღვეს ამ ჯარს ჩვენ რევოლიუციონურ მონაპოვართა წინააღმდეგ მიმართულ მოსალოდნელ ომებში? რასაკვირველია, ისევ ის ელემენტები ჩვენი ხალხის, რომელთა კლასიური ძებისაგან იკრიბება თვით ჩვენი რევოლიუციონური ჯარი. მეთაურები ჩვენი არმიის, მისი წითელი კამანდირები, უნდა შესდგებოდნენ ჩვენი მუშებისა და მშრომელი გლეხებისაგან. ეს, ცხადია არ ნიშნავს იმას რომ ჩვენ ხელს ვკრავთ და ჩვენი ჯარის რიგებში დამსახურებულ ადგილს არ მივუჩენთ სხვა საზოგადოებრივი წრეებიდან გამოსულ იმ ერთეულებს, რომლებიც საქმით დაამტკიცებენ თავის ერთგულებას რევოლიუციისა და მშრომელთა საქმისადმი, ეს არ ნიშნავს იმასაც, რომ ჩვენ გვერდს ავუხვევთ სამხედრო საქმეში დახელოვნებულ იმ „სპეცებს", რომლებიც თავის ცოდნას, და გამოცდილებასა და საქმის უნარს დაუქვემდებარებენ ახალი ხელისუფლების ნებისყოფას და პატიოსნათ ემსახურებიან ჩვენ ქვეყანას. ჩვენ ვამბობთ ჯარის ხელმძღვანელების იმ უმთავრეს ნაწილზე, რომელიც უნდა შეადგენდეს ხერხემალს მოწინავე რაზმისას, წითელი კამანდირების, ასე ვთქვათ, მასსას. ამ კამანდირების მოსამზადებლათ შექმნილია სპეციალური კურსები, რომლებმაც უნდა მოამზადონ წითელი ჯარის ხელმძღვანელები. კურსებზე მიიღებიან მუშებისა და მშრომელი გლეხების შვილები 18 დან 35 წლამდე. მშრომელი ხალხის მოვალეობაა ფართოთ ისარგებლოს გახსნილი კურსებით და მით საშუალება მისცეს საბჭოთა რესპუბლიკას, მოამზადოს ჯარის ხელმძღვანელები, შექმნას საჭირო სამხედრო ძალა რევოლიუციის დასაცავად, მის გასამარჯვებლად, მშრომელთა მიზნების განსახორციელებლად.

საქართველოს მუშებო და გლეხებო, ჩაეწერეთ წითელ კომანდირების კურსებზე! გააძლიერეთ წითელი არმია! დაიცავით თქვენი რესპუბლიკა!

რუსეთის წითელმა ჯარმა მუშა და მშრომელი გლეხის კამანდირების ხელმძღვანელობით დაამარცხა ბურჟუაზია. მიჰბაძეთ რუსეთის მუშებს მიეცით ჯარს წითელი კამანდირები, ისწავლეთ მტრის დამარცხება, ჩაეწერეთ წითელ კამანდირების კურსებზე!

კომუნისტურ ინტერნაციონალში

კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის მოღვაწეობის ანგარიშები.

მოსკოვი, 11 სექტ. (რადიო). „პრავდის" დღევანდელ ნომერში ეს ანგარიშები დაბეჭდილია 5 სვეტზე, რომელიც, აღმასკომის მიმდინარე მუშაობის მიმოხილვის გარდა, გვაძლევს აგრეთვე მოკლე ანგარიშებს მნიშვნელოვანი პოლიტიკურ და საორგანიზაციო საკითხების შესახებ, რომლებიც ეხებიან გერმანიას, ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, ჩეხო სლოვაკიას, უნგრეთს, ბელგიას, ავსტრიას, ესპანიას, შვეიცარიას, ფინეთს, სამხრეთ ამერიკას, ახლო აღმოსავლეთს და ებრაულ მუშათა მოძრაობას.

აღმასკომმა დაადგინა, რომ კვირაში ორჯელ გამოსცეს საინფორმაციო ხასიათის გაზეთი გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, სათაურით: „საერთაშორისო კორესპონდენცია პრესისათვის" 10 სექტემბრიდან დაწყებული, გაზეთ „პრავდასთან" დაიწყებს გამოსვლას ყოველ დღიური მიმოხილვა—კომუნისტურ ინტერნაციონალისა, რომლის მიზანიცაა მიაწოდოს პარტიის წევრთ ინფორმაცია, აღმასკომის და კომინტერნის ყველა სექციების მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოს მუშებო და მშრომელო გლეხკაცობავ, დაიცავით მშრომელთა სახელმწიფო, გააძლიერეთ მისი სამხედრო ძალა, მიეცით ჯარს წითელი მეთაურები, შედით კამანდირების კურსებზე!

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

შაქრის მრეწველობა.

მოსკოვი. 11 სექტემბერი. (რადიო) ომამდის რუსეთის შაქრის მრეწველობა იძლეოდა საშუალოდ 47 მილიონ ფუთს, ე. ი. თითქმის მე-5 ნაწილს, ჭარხლის შაქრის წარმოებისას მსოფლიოში. 1910 წელს ჩვენმა ქარხნებმა მოგვცეს 130 მილ. ფუთი, 1912 წ.—93 მილ., 1915 და 1914 წ.წ. 118 მილ., მათ შორის 5 მილ. პოლონეთის ქარხნებიდან იყო, 1919 და 1920 წ. რუსეთმა და უკრაინამ მოგვცა 4,85 მილ. ფუთ. ე. ი. 4,1 პროც. წარმოებისა 1914 -1915 წლებთან შედარებით ჭარხლით ნათეს მიწების პირვანდელი რაოდენობა 1914 წელთან შედარებით დაეცა 74 პროც. უკრაინაში მდგომარეობა უმჯობესდება: 1 ივნისისთვის სათესი მოედანის რაოდენობა აღწევდა 120.000 დესეტინას, 1 ივლისისთვის კი 286 ათას დეს. შაქრის მთავარი მმართველობა იუწყება, რომ შაქრის დამმუშავებელთა კავშირის საშუალებით, მუშათა მობილიზაციით, მიწის მიზომვა მოსახერხებელია შემოდგომისთვის უკრაინის ქარხნების მეოთხედი მოთხოვნილების უზრუნველყოფა. შაქრის მთავარი სამმართველო ფიქრობს მთელ რიგ ზომების მიღებით აწიოს შაქრის წარმოება.

სახელმწიფოს შემოსავალი.

კურსკი. 8 სექტემბერი. (რადიო). აგვისტოში სატელეგრაფო კორესპონდენციებზე გადასახადის აწევით, ქალაქ კურსკმა მისცა ერთი მილიარდი მანეთი.

იაროსლავლი. 7 სექტემბერი (რადიო) ელექტრონით სარგებლობისათვის გადასახადი, მახლობელ ორი თვის განმავლობაში მისცემს 300 მილ. მანეთამდის.

საბჭოთა ფოსტა-ტელეგრაფში.

მოსკოვი. 11 სექტემბერი. (რადიო) 1917 წელს ტელეგრაფით გადაცემული იყო 36.000.000 სიტყვა, 1918 წ.—24 მილიონი 1919—32 მილიონი, 1920—22 მილიონი. მიმდინარე წლის პირველ 4 თვეში საფოსტო დაწესებულებებში გაიარა უბრალო წერილებმა რიცხვით 1,036 მილიარდმა. 4 თვის განმავლობაში გაზეთები გაგზავნილია რიცხვით 159 მილიონი, ამანათები—15 მილიონი.

ინგლისის ნახშირი.

ოდესა. 5 სექტემბერი. (რადიო) ინგლისის საოკეანო გემი „კორტონ"-მა, რომელიც მიდის ნიკოლაევში, 240.000 ფუთ ნახშირით, ჩამოვიდა ოდესაში.

გაუმარჯოს წითელ არმიას! გაუმარჯოს წითელ კამანდირებს!

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთ ოსმალეთის ფრონტზე

(საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილებიდან)

ოსმალეთის დიდი ნაციონალური ყრილობის წარმომადგენელი საქართველოში, საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს ამხ. მდივანს ოფიციალურად აუწყებს შემდეგს: დღევანდელ მიღებულ ცნობებით მარჯვენა ფრთაზე მდინ. საკირის რაიონში ჩვენი გმირების კონტრშეტევას შედეგათ მოჰყვა მტრის ორი პოლკის უწესრიგოთ დახევა. ხელთ ჩაგვივარდა ბევრი ტყვეები და სამხედრო მასალა.

გამორკვეულია, რომ მოწინააღმდეგემ დასტოვა ბრძოლაში 500 მოკლული. მარჯვენა ფრთაზე ჩვენმა გმირებმა ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის შემდეგ მიაღწიეს მტრის სანგრებს.

ბერძნების სანგრების სამი ხაზი სულ გადავსებულია ინგლისური ხელით სასროლი ყუმბარებით. ხსენებულ სანგრებში აღმოჩნდა 200 მოკლული. მტერს დატოვებიეს მსუბუქი და მძიმე ტყვიის მფრქვეველები, აურებელი ხელით სასროლი გრანატები, თოფები და სხვა მრავალი ნადავლი, რომლის აღრიცხვაც ხდება.

ჩვენების შეტევა სხვა ფრონტებზე გრძელდება. ჩვენი ფრინავების უკანასკნელი ცნობით მტრის სხვადასხვა კოლონები უწესრიგოთ იხევენ.

გერმანია.

გადატრიალების შესაძლებლობა გერმანიაში.

ნაუენი. 8 სექტ. (რადიო). ლონდონის პრესის თანამშრომლებთან საუბარში კანცლერ ვირტმა განაცხადა, რომ კონტრ-რევოლიუციონერთა იმედები, გერმანიაში გადატრიალების მოხდენაზე ჩაიფუშა, გერმანიის ხალხის რესპუბლიკისადმი ერთგულების მიზნით.

არსებულ მომენტისთვის საშიშ როლმა გადაიარა, როგორც მონარქისტებს ისევე ანარქისტებს ნიადაგი არ ჰქონდათ, ამისდა მიუხედავათ გერმანიის მთავრობა ღებულობს ზომებს, რათა აიცილოს, როგორც მარჯვნიდან ისე მარცხნიდან თავდასხმა, ყველაზე მწვავე მდგომარეობაა ბავარიაში, მაგრამ მასთან უკვე დაიწყო მოლაპარაკება.

შემდეგ ვირტმა განაცხადა, რომ საერთო მდგომარეობა გერმანიისა ფერხდება იმ უკიდურეს გაჭირვებით, რომელსაც განიცდის ხალხი ფულის ვალდებულების გადახდით ანტანტისთვის, გერმანია მთელ თავის ძალებს იკრებს. არსებულ დროს გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა დამოკიდებულია ზემო სილეზიის საკითხის გადაჭრაზე.

სოციალისტების და კომუნისტების დევნა.

მოსკოვი. 12 სექტ. (რადიო). ბავარიაში სოციალისტურ გაზეთებს ხურავენ. პროფკავშირების მოწოდებანი მიუნხენის პოლიციის მიერ იგლიჯებიან. კასსელში დახურულია კომუნისტური გაზეთი. ბრაუნშვეიგში დატუსაღებულია 20 კომუნისტი, შავრაზმელთა სამხედრო დღესასწაულის წინააღმდეგ გამოსვლისთვის.

ამერიკა

ამერიკელი მუშები.

ნიუ იორკი, 28 სექტემ. აგვისტოს დამლევს ამერიკაში შესდგა მუშათა კავშირი. კავშირს მიზნათ აქვს, გააერთიანოს რევოლიუციონური ძალები ამერიკის მუშათა მოძრაობისა. კავშირის შემადგენლობაში სხვათა შორის შედიან შემდეგი ორგანიზაციები: „საბჭოთა რუსეთის მეგობრები", „ამერიკულ ირლანდიელი შრომის ლიგა", „ფინელ სოციალისტური ფედერაცია", „ამერიკულ თავისუფლების ორგანიზაცია", „უკრაინულ მუშათა კლუბი", „უნგრეთულ მუშათა ფედერაცია" და სხვ. ამერიკულ შრომის აღმას. კომიტეტის თავმჯდომარ. რ. გომპერსმა განაცხადა, რომ გარდინგს გადაწყვეტილი აქვს, დააკმაყოფილოს განცხადება, რათა ვაშინგტონის განიარაღების კონფერენციაზე დაშვებულ იქნას მშრომელთა წარმომადგენლებიც.

ფინეთი

ქაღალდი ფინეთიდან

ჰელსინგფორსი, 3 სექტ. (რადიო). 29 აგვისტოს გაგზავნილია პირველი პარტია ქაღალდისა რუსეთში ნაყიდ 300 ვაგონ სხვა და სხვა საქონლიდან გაგზავნილია 88 ვაგონი.

ამხ. ილია მგელაძეს

გუშინწინ დაასაფლავეს ამხ. ილიკო მგელაძე და მე არ შემიძლიან არ გამოვესალმო მას და რამდენიმე სიტყვით არ გავიხსენო მისი დაუღალავი მოღვაწეობა და გულის ნადები.

ამხ. ილიკო საკმაოდ დააფასეს და დაახასიათეს მისმა პარტიულმა ამხანაგებმა ყოველდღიურ პრესაში. მე, როგორც უპარტიო, შევეხები მისი სიცოცხლე-მოღვაწეობის უკანასკნელ თვეებს, რადგან ცხოვრებამ მასთან ყოფნა და მუშაობა მარგუნა ამ თვეების განმავლობაში.

ამხ. ილიკო ზღვა ენერგიის პატრონი იყო, მან არ იცოდა დაღალვა, მოქანცვა; ის განუწყვეტლივ იდგა თავის სამუშაოზედ და მზათ იყო დღე და ღამე შეელია ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩამოვიდოდა მაზრის რომელიმე რაიონიდან, კაცს ეგონებოდა—ორი სამი დღე ეს ადამიანი აღარ გამოდგება სამუშაოდაო, მაგრამ თუ დახვდებოდა მას რაიმე უსიამოვნო ამბავი, მომხდარი მაზრის სულ მეორე კუთხეში, ამხ. ილიკო კვლავ აღიგზნებოდა შრომის წყურვილით და შეუფერხებლივ კვლავ შეუდგებოდა მოგზაურობას, რომ ცოცხალი სიტყვით, მაგალითით და ხშირათ მუქარითაც ნაპირებიდან გამოსული ცხოვრება კვლავ ჩაეყენებინა ნორმალურ კალაპოტში. ამხ. ილიკო ჩიტივით დაფრინავდა მაზრაში, დღეს აქ იყო ხვალ იქ. ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი დაიპირებდა თუ არა რაიმე უსამართლობის ჩადენას პროვინციაში, ამხ. ილიკო მეხსავით დაატყდებოდა მას თავს და თავის მქუხარე და კაჟსავით მაგარი ხმით დაუზოგავათ ამხილებდა და თუ საჭიროება მოითხოვდა, მოახსნიდა საზოგადოების უვარგის წევრს ამა თუ იმ ადგილიდან და თბილისში უკრავდა თავს.

ძნელია კალმით და სიტყვით გამოსთქვას კაცმა რამდენი გაჭირვება გამოიარა ამხ. ილიკომ მაზრაში მოგზაურობის დროს. რამდენი უძილო ღამე, რამდენი მუშაობაში დაღამებული დღე, რამდენი შიმშილი, წყურვილი და სიცივე გაუვლია მას. ცოცხლად მაგონდება ჩვენი უკანასკნელი მოგზაურობა წალკაში. მანგლისში ჩავედით საღამოს ხუთ საათზე, ექვსის ნახევარზედ მისი ინიციატივით უკვე რევკომის და რაიონის შეერთებული სხდომა იყო მოწვეული. ვინ იყო მომხსენებელი სხდომაზედ? ილიკო. ვინ იყო გადამჭრელი წინადადების შემტანი?—ილიკო. ვინ იყო ცხოვრების ნამდვილი გულის ამღები?—ილიკო. არ დააწყდა ამხ. ილიკოს არაფერი, მთელი რაიონის საქმეები. როგორც ხელის გულზედ ისე ჰქონდა წარმოდგენილი. მას არაფერი გამოეპარა, ყველაფერს ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, მაგრამ ყველაზედ მეტი ყურადღება ნაფიც მსაჯულთა არჩევნების საკითხს მოანდომა, სახალხო სასამართლოს მოწყობა მაზრის ფარგლებში საოცნებო საგნათ ჰქონდა გადაქცეული ამხ. ილიკოს. ნაფიც მსაჯულთა არჩევნებს საზოგადოთ არჩევნების პირველ მერცხალს უწოდებდა და სასამართლოზედ ისე ლაპარაკობდა, როგორც თავის ღვიძლ შვილზედ.

კრება დაიხურა ღამის პირველ საათზედ და მხოლოდ მაშინ მოაგონდა მას, რომ მშიერი იყო. იქვე ზეზეურად შესჭამა სადღაც ნაშოვნი გამხმარი პური და ყველი და წავიდა დასაძინებლად. მეორე დღეს გავემგზავრეთ წალკისაკენ. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ წალკის ტრიალ მინდვრებზედ შხაპუნა წვიმამ მოგვასწრო. წინ სვლა შეუძლებელი იყო, რადგან გზა არავინ იცოდა და ღამე კი კუნაპეტივით შავი იყო. იძულებული ვიყავით გაგვეთია ღამე. ზოგი თივაში შეძვრა, ზოგი ურემს ამოეფარა. ამხ. ილიკო კი ურემზედ დარჩა, ზედ სველი თივა წაიფარა და ისე გაატარა ღამე. გათენდა დილა და მხოლოდ მაშინ დავინახეთ, რომ სოფლის პირას (სოფ. იმერია) გვძინებოდა; გაუდექით გზას და მალე ზარმაქსიაში ავედით. აქვე უმალ დანიშნულ იქნა ერთი კრება, მეორე კრება. საქმე ბევრი იყო გასაკეთებელი. რა დახვდა ამხ. ილიკოს წალკის რაიონში და რა გააკეთა, ამაზედ ვრცელი წერილი იყო მოთავსებული გაზ. „კომუნისტის" ფურცლებზედ, გამეორება ზედმეტია. ვიტყვი მხოლოდ. რომ რვა ცხრა დღის განმავლობაში, რომელიც ჩვენ დავყავით წალკაში, ამხ. ილიკო მიწურ სახლში სცხოვრობდა სჭამდა ზეზეურად პურსა და ყველს და ეძინა ულოგინოთ ხმელ ქეჩა გადაფარებულ, ტახტზედ.

წალკიდან წამოსვლისას ამხ. ილიკო უკვე ავათ იყო. სციოდა უქეიფობაზედ, დრო გამოშვებით კვნესოდა, მაგრამ ჩამოვარდებოდა თუ არა მის საყვარელ საგანზედ ლაპარაკი, კვნესას სწყვეტდა და ილტვოდა მასში მონაწილეობას. მანგლისიდან ავტომობილით წამოველით, მაგრამ ექვსი კამერა გაგვისკდა გზაზედ და რამდენიმე საათის მაგიერ, მანგლისიდან თბილისამდე დღენახევარი მოვანდომეთ. გასკდებოდა თუ არა კამერა, ამხ. ილიკო ავტომობილიდან ჩამოვიდოდა, წამოწვებოდა იქვე სადმე ჩრდილში და კვნესას იწყობდა. თან მისი პარტიული ამხანაგი შახსუვარიანი მოგვდევდა. ხან ერთი, ხან მეორე მოიგონებდა წარსულიდან რაიმე ფაქტს, თავგადასავალს და ილიკო კვნესას ივიწყებდა, წამოჯდებოდა და მონაწილეობას იღებდა ლაპარაკში.

კოჯორში გვიანობისას ჩამოველით მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ავათ იყო და ჩვენ თბილისში დაბრუნებას ურჩევდით, მაინც მოიწვია ადგილობრივ რევკომის კრება და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ თათბირი გამართა. მხოლოდ მაშინ წამოვიდა ამხ. ილიკო თბილისისაკენ, როცა ეს საქმეც გაათავა და გული დაიმშვიდა. მას თურმე სასიკვდილო სენი ჰქონდა ჯანში გამდგარი და ის კი არ ივიწყებდა საზოგადო საქმეს.

ამხ. ილიკო რევოლიუციონურ წესის დამყარების მომხრე იყო. ცენტრალურ რევკომის დეკრეტების და ბრძანებების ცხოვრებაში უკლებლივ გატარება ერთი თვალი იყო მისთვის და მეორე თვალი—მშრომელი გლეხობის დახმარება. ამხ. მახარაძე თავის წერილში ამბობს ავათმყოფობის დროს ილიკო გლეხობაზედ ბოდავდაო, მე კი ვიტყვი—თითქმის მთელი მაზრა მასთან ერთად მოვიარე და დავრწმუნდი, რომ გლეხობაზედ ზრუნვა და მათი სიყვარული მისი მოქმედების და მოღვაწეობის დედაბოძს შეადგენდა.

ეხლაც თვალწინ მიდგია ამხ. ილიკოს ახოვანი ტანი და მესმის მისი რიხიანი ხმა: „თქვენ იმას კი არ უნდა სცდილობდეთ, რომ გლეხობას ეშინოდეს თქვენი და გულში კი გლანძღავდეს. თქვენ უნდა სცდილობდეთ, რომ გლეხობამ წრფელის გულით შეგიყვაროთ და მეგობრებათ გახადოთ!"

სამწუხაროდ ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელნი ყველანი არ იყვნენ ამ მცნების მიმდევარნი და ამ ნიადაგზედ ამხ. ილიკოს ბევრთან მოდიოდა შეტაკება. ამხ. ილიკოს გარდაცვალების მეორე დღეს ჩამოვიდა ჩემთან ერთი უპარტიო გლეხი და თავის პირ-ვარამზედ იწყო ჩივილი. მე ლაპარაკი შევაწყვეტინე და უთხარი—იცი, რომ ამხ. მგელაძე მოკვდა მეთქი? ვაი, ეგ რა მითხარითო შესძახა, შემოიკრა ხელი და პირი იქით მიიბრუნა. რამდენიმე წუთს ჩემმა მოზასემ ლაპარაკი ვეღარ მოახერხა. ეს იყო ნამდვილი, გულწრფელი მწუხარება ხალხის გულიდან ამონახეთქი და ნეტავი იმას ვინც ამისთანა თანაგრძნობას დაიმსახურებს ხალხში.

მშვიდობით, ამხ. ილიკო. დაე შენგნით ნავალი გზა არ გავერანებულიყოს და შენის მაგალითით ერთისა და ორი კაცისა კი არა, არამედ მრავალის გული აღგზნებულიყოს ცხოვრების სარბიელზედ.

ივ. პოლუმორდვინოვი.

ქრონიკა

— **მუშაობა დაწესებულებებში.** შრომის კომისარიატის განკარგულების თანახმად, მუშაობა დაწესებულებებში 15 სექტემბრიდან იწარმოებს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

— **თბილისის განტვირთვა.** თბილისის განმტვირთავ ცენტრალურ საუწყებათა-შორისო კომისიის, სარაიონო საკონტროლო განმტვირთავ კომისიის და თბილისის კომუნისტურ პარტიის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია: 1. დაავალდებულონ სახლის კომიტეტები ცენტრალურ კომისიის საგანგებო ბრძანებით წარმოადგინონ განსაზღვრულ ვადაში სწორი ცნობები—სიები ყველა მდგმურებისა პროფესიისა და სამსახურის ადგილის აღნიშვნით, 2) წინადადება მისცეს მთავარ მილიციის საშუალებით ყველა კომისარიატებს, მიიღონ საჩქარო ზომები ყველა სახლის კომიტეტისგან თავის დროზე სიების წარმოდგენისათვის, 3) ეთხოვოს თბილისის კომიტეტს, განიხილოს სარაიონო საკონტროლო კომისიის სიები და წინადადება მიეცეთ მათ, მიიღონ სისტემატიური მონაწილეობა სარაიონო საკონტროლო კომისიის მუშაობაში, 4) ეთხოვოს იგივე პროფკავშირების საბჭოს და მუშურ გლეხურ ინსპექციას, 5) მიექცეს ყურადღება ფიზიკურად მომუშავე პირებს, რომლებსაც ეხებათ გამოსახლება და პროფკავშირთან ერთად გამოირკვეს ეს საჩქარო წესით, 6) ეთხოვოს საქართველოს რევკომის საშუალებით შრომის სახალხო კომისარიატს, გამოსცეს საგანგებო დეკრეტი, რომლის მიხედვითაც ძალა ექნება შრომის ბირჟაში ჩაწერილთა მოწმობებს, 7) წინადადება მიეცეს ყველა საბჭოთა დაწესებულებებს, მოახდინონ ყველა თავიანთ თანამშრომელთა მანდატების შემოწმება, და ეს შემოწმება უნდა მოახდინონ ცენტრალურ დაწესებულებათა ადგილობრივმა კომიტეტებმა, პირველ სექტემბრიდან, 8) ცენტრალურმა საუწყებათა-შორისო კომისიამ გააკეთოს ყველა რაიონებში მოხსენებანი, განსაკუთრებით მუშათა უბნებში, თბილისის განტვირთვის შესახებ, 9) გააფრთხილონ სპარსეთის, სომხეთისა და ისპანიის მისსიები და თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა ადმინისტრაცია, რომ პირველ სექტემბრიდან ყველა მანდატები უნდა იქმნას შემოწმებული, 10) წინადადება მიეცეს სარაიონო საკონტროლო კომისიას, არ მოახდინოს ცალკე ჩხრეკა და დაპატიმრება ქუჩებში, არამედ გატარდეს ერთი საერთო ჩხრეკა, როდესაც მოქალაქეებს ხელთ ექნებათ შემოწმებული მანდატები, და აგრეთვე როდესაც გასინჯული იქნება სახლის კომიტეტების ყველა სიები, 11) წინადადება მიეცეს სარაიონო საკონტროლო კომისიას, დააპატიმროს მილიციის საშუალებით სახლის ის კომიტეტები, რომლებიც განზრახ მიაწვდიან ყალბ ცნობებს მოქალაქეთა შესახებ, 12) შეიკრიბოს კვირაში ერთხელ ცენტრალურ საუწყებათაშორისო კომისია სარაიონო საკონტროლო კომისიასთან ერთად გაერთიანებულ სხდომაზე, 13) ყველა საბჭოთა მოსამსახურეების შემოწმებული მანდატები მათ უნდა წარუდგინონ სახლის კომიტეტებს, უკანასკნელნი კი ვალდებულნი არიან, წარუდგინონ ეს მანდატები სარაიონო საკონტროლო კომისიებს გასასინჯათ, 14) სარაიონო საკონტროლო კომისიაში მომუშავენი განთავისუფლებულ იქმნენ კომისიაში მუშაობის მთელ დროს თავის მუდმივ სამსახურის ადგილიდან, 15) ჩაირიცხოს თბილისის განტვირთვაში ყველა მომუშავე გადიდებულ ულუფაზე.

— **წყალსადენი.** საფუძვლიანი შეკეთების შემდეგ, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც დამთავრდა, ქალაქის წყალსადენის ავჭალის სადგურში მუშაობს მთელი ძალით დიზელი, ორი წყლის და ერთი ორთქლის ტურბინი. თბილისის ზემო ზონას აძლევს დღიურად 864 000 ვედრა წყალს ე. ი. იმდენ რაოდენობას, რომელსაც აძლევდა წინად, ქვემო ზონას კი—736,000 ვედრას, ე. ი. 350,000 ვედრას მეტს, ვიდრე როდისმე. მთელი მარცხენა ნაპირი, ავლაბრის და ნავთლუღის გამონაკლისით, ღებულობს წყალს შეუწყვეტლივ მთელი დღე-ღამის განმავლობაში. მიღებულია ზომები, რომ ზედმეტი წყალი ქვემო რეზერვუარიდან გადაიგზავნოს ზემოში, სადაც წყლის კრიზისი სრულიად ჯერ კიდევ არ მოსპობილა.

— **შინაგან საქმეთა სახალხო კომ. მისის წასვლა.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ვ. კვირკველია გაემგზავრა ბათუმის ოლქში მის კომისარიატის გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა დასათვალიერებლად და მათი მდგომარეობის გასაცნობად. ამხ. კვირკველიას აქ არ ყოფნის დროს მის თანამდებობის შესრულებას შეუდგა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ხუტულაშვილი.

— **რევიზიები.** შინაგან საქმეთა კომისარის მიერ მივლენილი არიან განსაკუთრებული რწმუნებულნი თიანეთის მაზრაში სამაზრო რევკომის, და სახ. კომისარიატზე დაქვემდებარებულ ყველა სახელისუფლო ორგანოების სარევიზიოთ, და გორის მაზრის მეჯვრისხევის რაიონში რაიონულ რევკომის საქმის წარმოებასთან გასაცნობათ.

— **რკინის გზებზე.** რკინის გზის უფროსის განკარგულებით სექტემბრის 15-დან ყველა მატარებელში ბუფეტები უქმდება.

— **კახეთის რკინის გზის შეკეთება.** კახეთის რკინის გზის შეკეთების დასაჩქარებლად რკინის გზის უფროსმა გასცა განკარგულება, რომ პირველ რიგში დამზადებული შპალები ხე-ტყის დამმზადებელ პუნქტებიდან გაიგზავნოს კახეთის გზაზე. იქვე უნდა გაიგზავნოს ვოლგის აუზიდან გამოგზავნილი შპალები.

— **რკინის გზებზე რემონტი.** რკინის გზების უფროსმა დაუგზავნა ლიანდაგზე დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ რკინის გზების კაპიტალური რემონტის გამო 9 ენკენისთვიდან დროებით შეჩერებულია მგზავრთა მატარებლების მოძრაობა კახეთის გზაზე—ნავთლუღიდან—თელავამდე და წნორის წყალამდე. ზუგდიდის შტოზე—ახალსენაკიდან—ხეთამდე და ჯულფის გზაზე—ულუხანლუდან—ულფამდე. წინადადება ეძლევათ ყველა სადგურებზე შეწყვეტილი იქნას ბილეთის გაყიდვა, ბარგის მიღება და ამის შესახებ ეცნობოს მცხოვრებლებს.

წითელი კომანდირების „სამდღეულისთვის"

1) სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის ფორმა, რომელიც წარმოადგენს მათ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ორგანიზაციას, უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს სოციალურს მიზნებს. ზემო აღნიშნულის გამო რ. კ. პ. პროგრამა საზღვრავს თითოეული ოლქის პარტიის ამოცანებს შემდეგი ძირითადი დებულებებით: იმპერიალიზმის გახრწნის დროს და სამოქალაქო ომის განვითარებისას შეუძლებელია როგორც ძველი არმიის შენარჩუნება და ისე ახალი გარეკლასიური არმიის შექმნა. წითელ არმიას, როგორც საფუძველს პროლეტარიატის დიქტატურისას, უნდა ჰქონდეს საჭიროებისამებრ აშკარა კლასიური ხასიათი, ე. ი. უნდა შესდგებოდეს მხოლოდ პროლეტარიატისა და მის მახლობელ გლეხკაცობის პროლეტარულ ნაწილებისაგან მხოლოდ კლასების მოსპობის შემდეგ იქნება შესაძლებელი მზგავსი არმიის საერთო სახალხო სოციალისტურ მილიციათ გარდაქმნა.

2) სამხედრო დარგში და ახალი ცხოვრების ყველა სხვა ფორმების აღმშენებლობაში გამარჯვებული კლასი დაამყარებს თავის დიქტატურას და სარგებლობს მართვა-გამგეობისთვის შემდეგ დამარცხებული, წინეთ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებით, მაგრამ ეს არის დროებითი ზომა ახალი სახელმწიფოს მართველობის ხელმძღვანელობის საქმეში. საჭიროა უშუალო მონაწილეობა განსაკუთრებით პროლეტარიატისა. ნათქვამის მიხედვით რ. კ. პარტიამ თავის მე 8 ყრილობაზე მიიღო შემდეგი დებულება: საჭიროა ორგანიზაციის, კავშირის და სიმტკიცის მიცემა ახალგაზრდა რევოლიუციონური არმიისათვის შესაძლებელია მხოლოდ კომანდირების შემადგენლობის საშუალებით, თუნდაც პირველ ხანებში უმდაბლესობით, რომლებიც შესდგებიან მუშა და გლეხებისაგან, ამისათვის მომზადება უფრო ნიჭიერ და რევოლიუციონურ საქმისათვის თავდადებულ ჯარისკაცებისა კომანდირების თანამდებობაზე წარმოადგენს ერთს უმთავრეს ამოცანას არმიის შექმნის საქმეში.

3) როცა საბჭოთა მთავრობა შეუდგა წითელი არმიის ორგანიზაციას მას წითელი არმიის ბელადის ამხ. ტროცკის პირით თავის იმედი წითელ კომანდირებისადმი შემდეგნაირად გამოხატა: „წითელი კურსანტები წარმოადგენენ ერთგულს მტკიცე ჯარისკაცებს საბჭოთა ხელისუფლებისას, დამდგარნი პატარა სამხედრო ერთეულებს მეთაურებათ როტებისა და სხვაგან ისინი იქნებიან ისეთი მაგარი დასაყრდნობი, რომელზედაც დაიმსხვრევა ყოველგვარი მტრის ცდა. წითელმა კომანდირებმა ზედმეტად შეასრულეს მათზე დამყარებული იმედები. ისინი ხელმძღვანელობენ არა მარტო პატარა სამხედრო ერთეულებს, მაგრამ მასთან ერთად დიდს რაზმებსაც, ბატალიონებს, პოლკებს. ისინი წარმოადგენენ უძლიერეს ძალას არა თუ მარტო შინაურ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ. არამედ აგრეთვე წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალიზმისა.

4) დაცვა საბჭოთა რუსეთისა და ფედერატიულ რესპუბლიკებისა. რომლებიც წარმოადგენენ არა მარტო სამშობლოს მრავალ მილიონ მშრომელ მუშებისა და გლეხებისას, არამედ აგრეთვე მსოფლიო რევოლიუციის კერასაც მოითხოვს გაორკეცებულ ყურადღებას და მთელი ძალღონის მოკრეფას. ეს საქმე შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს მხოლოდ თვით პროლეტარიატის უშუალო მონაწილეობით.

5) რევოლიუცია, რომ მიყვანილ იქნას საბოლოო გამარჯვებამდე და უზრუნველყოფილი მშვიდობიანი აღმშენებლობა, მუშები უნდა შეეჩვიონ მართვა-გამგეობას და მით დაუმტკიცონ მთელს მსოფლიოს, რომ მათ აქვს ნიჭი მართვა-გამგეობისა.

ყველა ქვეყნებში ასეთი სკოლები გახსნილია მხოლოდ ბურჟუაზიის შვილებისათვის. საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოთ გაუხსნა კარები სამხედრო სასწავლებლების მშრომელს ხალხს. კურსის დასრულებისას კურსანტები მიდიან ფრონტზე წითელ კომანდირებათ. მოხალისე მუშებმა და გლეხებმა უნდა დაიჭირონ მათი ადგილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ილია მგელაძის ხსოვნას.

და კვლავ გაისმა ხმა მწუხარების,
შავით მოირთო კვლავ მთა და ბარი,
კვლავ ჩამოშორდა წითელ ავანგარდს
ერთი მებრძოლი შეუპოვარი.
მასწავლებელო, იმ დროს, როდესაც
შენ წმინდა დროშა პროლეტარული,
მტრის ქარცეცხლიდან გამოიტანე
და გამარჯვებულს გიცემდა გული,
როს შენი სახე მხნე გამჭრიახი
საჭირო იყო გზის მანათობლათ,
[illegible] სიკვდილმა მოგისვა ცელი
და ჩვენ დაგვტოვა უშენოთ ობლათ,
მასწავლებელო, შენს წმინდა სახელს
როგორც სიმბოლოს ისე ვატარებთ,
რომ არ შევლახოთ შენი ღირსება
მას შავს წერტილსაც არ მივაკარებთ.
და როს მსოფლიოდ აფრიალებს
დროშას ერთობის მთელს ქვეყანაზე,
მაშინ მოვალთ და შენს აკლდამასთან
ვაშას შევძახებთ გამარჯვებაზე.

გოგიტა ციმბირელი.

წარმოებითი პროფკავშირებში

მებეჭდავთა საზოგადო კრება
11 სექტემბერს

11 სექტემბრის საზოგადო კრება ძალიად ყურადსაღები იყო როგორც კომფრაქციისათვის აგრეთვე უპარტიო მუშებისათვისაც მებეჭდავთა შორის. კომუნისტთა ფრაქცია ერთად-ერთი პატრონ-პატრონი და ხელმძღვანელი იყო მებეჭდავთა კავშირისა, რამაც თუ გადატრიალების შემდეგ, არაერთ კომუნისტები და მათი თანამოაზრენი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ფაქტიურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ ამ დარგში, რაც ყოველ საზოგადო კრებებზე აქტიურ დებულობდა არჩევნების დროს, და თუ კავშირის ხელმძღვანელობა კომუნისტების ხელში არ გადადიოდა—ეს იმიტომ, რომ მენშევიკები დროზე ჩასვამდნენ ხოლმე ციხეებში საუკეთესო კომუნისტებს და მით ლელო მენშევიკებს გაჰქონდათ. მაგალითად, გასულ წელს, საზოგადო კრებაზე, სადაც გამგეობას ვირჩევდით, ზუბალოვის სახლში, ხმის უმრავლესობა აშკარად კომუნისტების სიამ მიიღო და ერთი-ორი ხმა რომ მეტი დარჩენოდათ მენშევიკებს და გამგეობაში მათი უმრავლესობა გასულიყო, მენშევიკ მუშებმა „ოსობი-ოტრიადების" დახმარებით ერთად ერთ კომუნისტ მუშას ზედ ტრიბუნაზე, კბილები ამოაცვივნეს ცემით.

ასე იქცეოდნენ მენშევიკები თავიანთ ბატონობის დროს.

ახლა კი, როდესაც მენშევიკების სიკოტრე და მუშების ინტერესების ღალატი პარიჟში კლემანსოსთან გამჟღავნებით დამთავრდა სრულიად შემთხვევით ა. წ. 26 აგვისტოს კრებაზე მათ მეტი ხმა მიიღეს ვინემ კომუნისტებმა. რა იყო ამის მიზეზი?

ამის ახსნა იმ კითხვებიდან უნდა დავიწყოთ, რა კითხვებიც დასვა თავის დეკლარაციაში მენშევიკების ლიდერმა, სოლომონ ვადაჭკორიამ, 11 სექტემბრის საზოგადო კრებაზე.

ამ დღეს გამგეობამ ხელმეორედ დასვა საკითხი წარმომადგენლების არჩევად საერთო საქართველოს მებეჭდავთა ყრილობისათვის, რადგანაც გამგეობაში შემოვიდა პროტესტი ას-ორმოცი უპარტიო მუშების ხელმოწერით, რომ ისინი 26 აგვისტოს არჩევნებს უკანონოთ სცნობდნენ და თხოულობდნენ ხელახალ არჩევნებს, რადგანაც 26 აგვისტოს, მენშევიკები, მათი სახელითაც გამოვიდნენ, მაშინ, როდესაც მენშევიკებთან მათ არაფერი საერთო არა სქონიათ. პროტესტი იყო სამართლიანი და გამგეობამაც მოიწვია ახალი კრება. მენშევიკებმა, სოლომონ ვადაჭკორიას პირით განაცხადეს, რომ „ტოვებენ კრებას და არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ, რადგანაც გამგეობა კრებას საბჭოფოთ იწვევს და ისინი მართლაც ვერ აწყობენ სხვა პარტიებთან და უპარტიოებთან თანამშრომლობა-შეთანხმებას, აგრეთვე კიდევ მეტომ, რომ ექსპედიციაში ვითომ შტატი შეამცირეს და ხელდებულთ კი მენშევიკები დაითხოვესო და მათ საშუალება მოუსპეს არჩევნებში მონაწილეობისაო".

აქედან აშკარაა, რომ კრება უსათუოდ უნდა მოწვეულიყო, რადგანაც მენშევიკები მართლა ვერ „შეთანხმებულიყვნენ" წინანდელ კრებაზე და უპარტიოთა სახელით კი გამოვიდნენ. დარჩა რა? დარჩა ის, რომ სადაც, საჭიროებისამებრ, შტატი შემოკლდა და ეს მათთვის საკმაო შეიქმნა, რომ მათ არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღოთ და კავშირისათვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ.

აი, აქ არის სწორედ მათი სულიერი სიკოტრე.

მენშევიკებს ახსოვთ, რომ ჩვენ, კომუნისტებს, ციხეებშიაც აგზავნიდნენ, ცხვირპირსაც გვიმტვრევდნენ, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, ჩვენ [illegible] ბოიკოტს არ ვუცხადებდით [illegible] რაინდულათ ვმუშაობდით მუდამ და ყველა პირობებში, რადგანაც ჩვენ გვწამდა და გვწამს მუშათა საქმეს მათი ინტერესები და მათი მომავალი და ჩვენს პირად გაჭირვება-შეურაცხყოფას არაფრად ვაგდებდით. თქვენ კი გაიქეცით იმიტომ, რომ თქვენ მუშათა საქმეს დიდი ხანია შე[illegible]! თქვენ მუშების ინტერესები კლემანსოებს ჩააბარეთ პარიჟში. თქვენ გაიქეცით იმიტომ, რომ თქვენ მუშათა ინტერესებს კი არ გინდათ ემსახუროთ, არამედ თქვენ გინდათ მუშათა ორგანიზაციები ბურჟუაზიის ინტერესებისათვის გამოიყენოთ, და აი, როგორც კი დარწმუნდით, რომ უკანასკნელ კრებაზე მუშები გაცილებით მეტი მოვიდა, რამაც შეგნებულათ ჩააბარებინა თავისი ბედ-იღბალი იმ პარტიისათვის, რომელიც მას ნამდვილათ ემსახურება, რომელიც იცავს მუშათა ინტერესებს თავისი რაინდული ბრძოლით, როცა კი დარწმუნდით, რომ მუშები თავის ხმებით თქვენ ისედაც გაგყრიდნენ თქვენ, როგორც დახელოვნებული ოინბაზები თვითონვე წადით და თან გაიყოლეთ დატყუებული ზოგი ნამდვილი მუშა და უმთავრესად კი ყოფილი ხაზეინები, რომლებმაც დაკარგეს ქონება და, რასაკვირველია, რომ ისინი თქვენ გამოგყვებოდნენ, „სული სულს იცნობს და გული გულსო".

ამ კრებაზე კომფრაქციის წარდგენილ სიამ მიიღო სამას ოცდა-ორი ხმა, ე. ი. 12 ხმით მეტი ვინემ წინა კრებაზე ორივე სიამ ერთად. მაშასადამე, მებეჭდავთა კავშირის მუშებმა თავიანთი ბედიღბალი ჩააბარეს კომუნისტებს და უპარტიოებს, შემოერთებულ სოციალ-ფედერალისტებთან ერთად, რომელთა წარმომადგენლებმაც, განაცხადა მენშევიკების შემდეგ, რომ ისინი მენშევიკებს არ ეთანხმებიან, კრებას კანონიერად სცნობენ და არჩევნებში მონაწილეობას დებულობენ.

სანდრო იაშვილი.

(დასასრული იქნება)

—

სრულიად საქართველოს აღმშენებელთა კავშირის ყრილობა

5 სექტემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის შენობაში გაიხსნა სრულიად საქართველოს აღმშენებელთა ყრილობა. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების სახელით ყრილობა გახსნა ამხ. ბოგდანოვმა. დაესწრო 40 დელეგატი.

არჩევნები

კომფრაქციის მიერ შეტანილი სიებით პრეზიდიუმს ირჩევენ შემდეგი შემადგენლობით: ბოგდანოვი, ლადიძე, ვ[illegible]ონიკი, პეტროვი და კოვაჩი. სამანდატო კომისია: ამხ. კოვაჩი, ნაკაიძე და ტიშოვი.

დღის წესრიგი

მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) სახელმწიფო შენობათა კომიტეტი, 5) საქართველოს ელექტროფიკაცია, 6) მოხსენებები ადგილებიდან, 7) პროფკავშირთა მონაწილეობა წარმოებაში, 8) მუშების მატერიალურად უზრუნველყოფა, 9) კულტურულ განმანათლებელი მუშაობა, 10) საორგანიზაციო კითხვები, 11) მუშათა კოოპერაცია, 12) ცენტრალური სამმართველოს არჩევნები, 13) სარევიზიო კომისიის არჩევნები, 14) მიმდინარე კითხვები.

მისალმებანი

ყრილობას მიესალმენ: აღმშენებელთა ცენტრალური პროფკავშირის სახელით ამხ. ბოგდანოვი, საქართველოს პროფკავშირებიდან—ამხ. ვირაპი, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან—ამხ. აბულაძე.

მისასალმებელი დეპეშები

ყრილობა უგზავნის მისასალმებელ დეპეშებს: საქართველოს რევკომს და პარტიის ცეკას; სრულიად რუსეთის აღმშენებელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს; პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, კავბიუროს პრეზიდიუმს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, სრულიად რუსეთის აღმშენებელთა კავშირის ბაქოს განყოფილებას, მუშებს, კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქარს და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს.

ცენტრალური მმართველობის მოხსენება

ამხ. ბოგდანოვი: კავშირის ფაქტიური არსებობა დაიწყო 15 მაისიდან, ე. ი. იმ დღიდან, როდესაც არჩეული იყო ცენტრალური სამმართველო საქალაქთაშორისო კონფერენციის მიერ. მანამდე კავშირის მუშაობაში, რომელიც არ იყო ფეხმოკიდებული, იყო დიდი ნაკლებულობა პროფესიონალურ მუშაკებში.

ძველი სამმართველოს დაშლის შემდეგ, ახლად, 15 კაცის შემადგენლობიდან გამოჰყო პრეზიდიუმი 5 ამხანაგისაგან და მოაწყო შემდეგი განყოფილებები კავშირთან: 1) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, 2) ეკონომიური, 3) სატარიფო-სანორმო, 4) შრომის დაცვის და საბინაო სამეურნეო და 5) კულტურულ-განმანათლებელი.

ამ განყოფილებებს წილად ხვდა მეტად რთული და ძნელი სამუშაო კავშირის წარმოებითი პრინციპზე დაწყებისა. წევრების უმრავლესობა არ იყო გაცნობილი საბჭოთა აღმშენებლობის მეთოდებს და ამასთანავე მათ წინ გადაეღობა მთელი რიგი დაბრკოლებებისა, რომელიც ხელს უშლიდა კავშირის მოწყობის საქმეს.

კავშირის რიგებში, ეგრედ წოდებულ „ცალკეობის" სიჭარბე არის დამახასიათებელი კავშირისათვის. ჩვენ წინ დადგა კითხვა შეკრების გაფანტულ აღმშენებელთა მასების და მისი შეერთება ერთ მთლიან ერთეულში. ამ მიზნით საორგანიზაციო განყოფილებამ შექმნა სამი რაიონული კომიტეტი—ვერის, ჩუღურეთის და ავლაბრის, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ წარმოებასთან დაუკავშირებელი ყველა მუშები. ამგვარათ, მუშათა ფართო მასების ორგანიზაციულად მოწყობის საქმე შესრულებული იქნა რაიონულ კომიტეტების მიერ, მაგრამ საწარმოო მუშაობა მათში განვითარდა ძალიან სუსტათ და ამის გამო ისინი ახლა თანდათან კვდებიან და ადგილს უთმობენ, ახალ, უფრო თანამედროულ ფორმას შეერთებისას—მოძრავ სააღმშენებლო რაზმებს. ბრძოლა „[illegible]" და მოიჯარადრეების წინააღმდეგ, რომელნიც სატარიფო განაკვეთებზე ერთად მიიღებდნენ დიდძალ ფულს. დადგა მაღალ თავის სიმაღლეზე და საქმის სალიკვიდაციოთ ცენტრალურმა სამმართველომ გამოიმუშავა პროექტი დეკრეტისა, რომლის მიხედვით, ყოველივე სააღმშენებლო მუშაობა რესპუბლიკაში წარმოებს სახელმწიფო შენობათა კომიტეტის საშუალებით და მისი დამცველობით ადგილობრივ. მშრომელთა რაზმები იქნება რა სახელმწიფოს შენობათა კომიტეტის განკარგულებაში, გადაგზავნილ იქნებიან ხან ერთ, და ხან მეორე სამუშაოზე. ამ ჟამათ ჩვენი პირველი რაზმი სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას, მუშაობს რა ძალიანი ცუდი კლიმატიური პირობების დროს წისქვილის აშენებაზე: 1-ნახ. თვის განმავლობაში მან შეასრულა 70 პროც. განზრახულისა, თუმცა იყო შეჩერებანი მასალის მოუწოდებლობის მიზეზით.

ამხანაგო, რაზმის საშინაო მუშაობის შედეგები თვით ამტკიცებენ თავის საფუძვლიანობას. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების უახლოეს მიზანს შეადგენს მკვიდრო კავშირის დამკვიდრება და შეთანხმებული მუშაობა ადგილობრივ. ეკონომიური განყოფილების მოქმედება გამოიხატა წარმოების განვითარებაში და ორგანიზაციულად მოწყობაში, საქონლის ფასების მოგროვებაში, წარმოების აღწერით და შრომის ორგანიზაციაში.

ეკონომიური განყოფილების მიერ, სახელმწიფო შენობების კომიტეტთან ერთად, გამომუშავებულია აღმშენებლობის გეგმა, რომლის თანახმად დარჩება განყოფილებათ ორიან მიჩნეული: გზის აღმშენებლო, გიდრავლიკური აღმშენებლო და სხვა. დამუშავებულია პროექტი სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადებისა ყველა აგურის ქარხნებისა. როგორც უკვე იყო თქმული, გატარებულია ცხოვრებაში სააღმშენებლო რაზმების სისტემა. ამუშავებულია ქარხანა, მოწყობილია საწარმოო ეზოები ადგილობრივათ და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საკუთრებათ აგურის წარმოების გამოცხადების შემდეგ ვერ იქმნა მიღწეული დადებითი შედეგები სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან, რადგანაც საბჭოს უნდა გახსნა წარმოებანი კერძო პირებზე. მატერიალური მომარაგების განყოფილებამ ვერ გაშალა თავისი მოქმედება, ცუდი ეკონომიური მდგომარეობის გამო. მისი მუშაობა გამოიხატა [illegible] შემოსვლაში ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, მანუფაქტურით, ფეხსაცმელების დაკერვით, სასადილოების მოწყობით და სხვა. მომავალი მისი მუშაობის გეგმა მდგომარეობს კოლექტიური მომარაგების პრინციპის გატარებაში, კოოპერატივის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაში, ბოსტნების დათესვაში და ზამთრისათვის სათბობი მასალის დამზადებაში.

სატარიფო-სანორმო განყოფილებამ მიიღო ნორმათ მესამედი ასეთისა მშვიდობიანობის დროისა და ამის ცხოვრებაში გატარებამ სისწორესთან ერთად მოგვცა დადებითი შედეგები. გაცალკევებულ მუშებისათვის გადაწყვეტილია დღიური ხელფასი 3,750 დან 5000 მანეთამდე. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სწარმოებდა ძალიან ფართო მაშტაბით. გახსნილია პროფტექნიკური სკოლა, რომელზედაც დიდი იმედებია დამყარებული. მთელი ხნის განმავლობაში განყოფილების მიერ განაწილებულია 10000 გაზეთი და 700 ბილეთი. გატარებულია 3 შაბათობა. საბავშვო მოედნებთან დაკავშირებულია 79 ბავშვი.

შრომის დაცვის განყოფილების მუშაობა მდგომარეობდა [illegible] დახმარების აღმოჩენაში კავშირის წევრთათვის. ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ მოხერხდა ერთი სახლის განთავისუფლება მუშებისათვის, დარჩენილები ჯერ ანგარიშზეა აღებული.

უწევთ რა ანგარიშს 3 წლის პრაქტიკას მოსკოვის ცენტრებისას, ცენტრალური მმართველობა საჭიროდ სთვლის, სრულიად რუსეთის აღმშენებელთა ცენტრალურ კომიტეტთან მჭიდრო კავშირის დამყარებას და იმედოვნებს, რომ სრულიად საქართველოს ყრილობა მისცემს მას ახალ ძალას ეკონომიურ ნგრევასთან საბრძოლველათ.

კამათი მოხსენების შესახებ

მოხსენების შესახებ გაიხსნა კამათი: ამხ. ვირაპი აღნიშნავს კავშირის უქონლობას ცენტრის ადგილებთან აგრეთვე მიზანშეუწონლობას სამეურნეო მუშაობაში. ამხ. კოვაჩი ამტკიცებს, რომ შექმნილ მდგომარეობაში გაკეთებულზე მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო.

მე-2 დღე

ყრილობის სხდომა იხსნება სამანდატო და სარევიზიო კომისიის მოხსენებით. დაამტკიცეს რა პირველი და მეორე შესახებ გამოიტანეს რეზოლიუცია, ყრილობა გადადის დღის წესრიგში და მიდის ერთ არსებით საკითხზე—სახელმწიფო შენობათა კომიტეტის მოხსენებაზე.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგიის მოხსენება

ამხ. ქურჯიანი. საბჭოთა ხელისუფლების მიერ სახელმწიფო შენობათა კომიტეტისადმი ფართო მიზნების მიცემა, მოითხოვდა მთელი ძალღონის ამუშავებას საჭირო სტრატეგიულ ხასიათის დასახულ მიზანთა თავის დროზე შესრულებისათვის და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში შემოქმედებითი მუშაობის განხორციელებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფო შენობათა კომიტეტმა მიაქცია მიწის მელიორაციის საკითხს, რათა შეასუსტონ [illegible] სისტემატიური მოუსავლობა. მუშაობა ამასთანავე მიმდინარეობდა ძლიერ არა ნორმალურ პირობებში: ფულის ნიშნების ნაკლებლობა და ცუდი მომარაგება სურსათით უსპობდა შესაძლებლობას ჩვენ მუშაობაში საკმაო მუშა ხელი; გლეხებს დიდი ჯილდოს მიცემითაც არ სურდათ ემუშავნათ ჩვენთან. დაბალი სატარიფო განაკვეთი სამუშაო ხელფასისა ძლიერ აბრკოლებდა ჩვენს მუშაობას რადგანაც სასოფლო მეურნეობის მუშაობა აძლევდა მუშას 60 დან 100 ათას მანეთამდე, რაც რასაკვირველია ხიბლავდა ბევრ მუშას. პრემიალურმა სისტემამ რამოდენიმედ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ პურის ულუფის შემცირებამ მაინც ცუდი გავლენა იქონია საქმეზე. ყველა ამას მიემატა კიდევ გადასასვლელ საშუალებათა უქონლობა.

მუშების წამოსვლიდან წასვლის უფლების წართმევამ ვერ მიიღო პრაქტიკული გადაწყვეტილება. საგზაო ბეგარა ჯერ ვერ გაშორდა შრომის სახალხო კომისარიატის კომისიის განხილვას. გადადის რა განყოფილებათა მუშაობაზე, საჭიროდ რაცხს აღნიშნოს ფართო თეორიული მუშაობა, რომელიც უნდებოდა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენას, როგორც ცენტრისათვის, აგრეთვე პროვინციისათვის. კავშირის მუშათა რაზმები უსათუოდ ხელს შეუწყობენ ბევრ პროექტების განხორციელებას სააღმშენებლო ნაწილში.

განყოფილებების მიერ შესრულებულია შემდეგი მუშაობა: გიდრავლიურ აღმშენებლობაში: უპირველესად ყოვლისა შეუდგნენ იმ მუშაობას, რომელშიდაც გლეხობამ აღუთქვა მიიღოს აქტიური მონაწილეობა, სახელდობრ: 1. სწარმოებს ბალდათის თემის მიწის მოსარწყავის მუშაობა რაოდენობით 2000 დესეტინა, 2) მათხოჯის არხის გასაყვანად—გათხრილია 12,000 კვად. საჟენი მიწა. 3) სწარმოებს გრიგოლ-დოხის, ქარელის, სკრის, დიღომის, ტყვლის და სხვათა მიწების სარწყავის მუშაობა რაოდენობით 10,000 დესეტინამდე. 4) ნაფარეულის არხი გაყვანილია 1 ნახ. ვერსამდე, გამოსა 300 კვადრ. საჟ. 5) აშენებულია დამბები ცხენის წყლის ნაპირებზე. შემდგარია პროექტები ყარაიაზის ველის, სამგორის ხეობის და ტირიფონის ველის სარწყავებისა (30,000 დესეტინა). მუშავდება სამელიორაციო მუშაობის საერთო გეგმა და საქართველოს ელექტროფიკაციისა. სწარმოებს გამოკვლევანი ზემო ავჭალაში თბილისისათვის ელექტრონის ენერგიის მისაწოდებლად.

გზათა აღმშენებლობაში: წლის დასაწყისში შემდგარ ხარჯთაღრიცხვით, გზების გასასწორებლად საჭირო იყო 3 ნახ. მილიარდი მანეთი, მიღებულია კი 100 მილიონი, ბუნებრივია, რომ გზები ვერ იქნებოდა შეკეთებული. შეკეთება სწარმოებდა მხოლოდ იმ გზებისა, რომელთაც აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა. გზათა აღმშენებლობის განყოფილება ინტენსიურად მუშაობდა, ეს მუშაობა ატარებდა თეორიულ ხასიათს. ცხოვრებაში გატარება ძნელი იყო.

სახუროთმოძღვრო აღმშენებლობაში: ხუროთმოძღვრების მუშაობა განისაზღვრა შენობათა შეკეთებით, საანგარიშო ხანაში შეკეთდა 14 სახლი, განყოფილების თვალყურის ქვეშ მუშაობდა გორის აღმადგენელი პარტია, სადაც უკვე დამთავრდა 6 შენობა, რომლებიც უჭირავს საბჭოთა დაწესებულებებს. სამხრეთ ოსეთში მოახდინეს მოსახლეობის ახალი გეგმა.

გეოდეზიურ—გადამღებ განყოფილებაში შესრულდა 5 გადაღება მინდვრის სამუშევრის, კამერალურში—დამთავრდა ოზურგეთის გეგმა და დამთავრებულია ქ. თელავის გეგმის ანგარიში.

სააღმშენებლო მასალის განყოფილებაში.. განყოფილებამ საანგარიშო ხანაში მოაწყო კირის, გაჯის, ცარცის, აგურის, კრამიტის და ჭურჭლის წარმოება.

—

მელითონეთა და ტრანსპორტის მუშათა კავშირში.

7 ენკენისთვეს შესდგა პირველი კრება მელითონეთა და ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებულ კავშირის ცენტრალური მმართველობისა. მმართველობის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ოდილავაძე. თავმჯდომარის ამხანაგათ ამხ. დოგუზოვი, მდივნათ ამხ. ივანიშვილი. ცენტრალური მმართველობის კრებამ დაადგინა კრებების მოწვევა ყოველ თვეში ერთხელ, თვის 5 რიცხვში, საგანგებო კრებები კი იმართება რიგს გარეშე. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმში არჩეულნი არიან: ამხ.—დოგუზოვი, ოდილავაძე, ივანიშვილი, კიკნაძე, კალანდაძე, შურჯანაძე და ხოჯაევი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 66.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა ნატურალური გადასახადის აღუსრულებლობისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ

1. მოქალაქე, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს მით, რომ დაწესებულ ვადაზე არ გაისტუმრებს ნატურალურ გადასახადს,—გარდა ამ გადასახადის იძულებით გადახდევინებისა, მოკლებულ იქნება ადმინისტრატიულ წესით თავისუფლებას,—იძულებითი მუშაობის შეფარდებით,—ვადით ექვს თვემდე და დაედება ფულათ ჯარიმა, რის რაოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის ადგილობრივ საბაზრო ნახევარ ღირებულებას,

2. მოქალაქე, რომელიც გადასახადისაგან თავის განრიდების მიზნით, აუწყებს განზრახ ყალბ ცნობას, მოკლებულ იქნება ადმინისტრატიულის წესით თავისუფლებას, იძულებითი მუშაობის შეფარდებით—ვადით ცხრა თვემდე და გადასახადის ერთი ორად იძულებითი გადახდევინებით.

3 წინა მუხლით აღნიშნული ადმინისტრატიული სასჯელ-საურავის განსაზღვრა მართებს სასურსათო სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს და სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიის მიერ დამტკიცების შემდეგ.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**
იუსტიციის სახალხო კომისარი **ს. ქავთარაძე.**
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. საღარიძე.**
1921 წ., სექტემბრის 7.
თფილისი სასახლე.

დეკრეტი № 74

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა რძის პროდუქტების ნატურალური გადასახადის დაწესების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს შემოღებულ იქნეს ამა 1921 წლისათვის რძის პროდუქტების (ძროხისა და ცხვრის) ნატურალური სასურსათო გადასახადი.

2. გადასახადი უნდა გაიღოს ყველამ, ვისაც ჰყავს ძროხა და ცხვარი იმის და მიუხედავად, თუ სად იმყოფება იგი, ე. ი. სოფლად თუ ქალაქად.

3. ძროხის რძის პროდუქტების გადასახადის ასაკრეფად მთლად რესპუბლიკაში უნდა დაწესდეს ხუთი რაიონი და მეურნეობის ოთხი ჯგუფი თვითეულ რაიონში, იმის დამიხედვით, თუ თვითეულ მეურნეობაში რამდენი თავი ძროხაა.

4 ძროხის რძის პროდუქტების გადასახადის განაკვეთი უნდა დაწესდეს რძის ყველი პროდუქტის შეფასებით დასავლეთ საქართველოსათვის (პირველი საგადასახადო რაიონი) მსუქან (ძროხის ნაღებ-მოუხდელი რძის) ყველთან და აღმოსავლეთ საქართველოსათვის (მე-2,3,4 და 5 საგადასახადო რაიონი) ძროხის ერბოსთან შემდეგი რაოდენობით:

რაიონები	გადასახადის განაკვეთი (გირვანქ.) თვითეულ თავ საქონელზე როდესაც საქონ. საერთო რიცხ. მეურნეობ. არის			
	2 სული	3 სული	4 სული	5 და მეტ.
	მსუქანი ყველით			
1. დასავლეთი საქართველო	2	2 ნახ.	3 ერ.მეოთ.	4
	ძროხის ერბოთი			
2. ახალციხისა, სიღნაღისა, თელავისა და ტფილისის მაზრები და გორისა და ბორჩალოს მაზრის დაბლობი ადგილები	2	2 ნახევ.	3 ერ.მეოთ.	4
3. ახალქალაქისა და დუშეთის მაზრები და გორის მაზრის მაღალი (მთიანი) ადგილები	3	3 ნახევ.	4 სამ.მეოთ	6
4. თიანეთის მაზრა . . .	3 ნახევ.	4 სამ.მეოთ	5 ნახევ.	7
5. ბორჩალოს მაზრის (გაუმ. ჯიშ.) მაღალი (მთიანი) ადგილები	4	4 სამ.მეოთ.	6 ნახევ.	8
(ადგილ. ჯიშ.)	3 ნახევ.	4 ერ.მეოთ.	5 ნახევ.	7

შენიშვნა; თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის საერთო ჯამის გამოსაანგარიშებლად თითო სულზე განსაზღვრული განაკვეთი გამრავლებულ უნდა იქნეს იმდენჯერ, რამდენიც ამ მეურნეობაში ძროხაა.

5. ის მეურნეობა, რომელსაც ერთი ძროხა გააჩნია, განთავისუფლებულ უნდა იქნეს ძროხის რძის პროდუქტების გადასახადისაგან.

6. ცხვრის რძის პროდუქტების გადასახადის ასაკრეფად უნდა დაწესდეს მეურნეობის ხუთი ჯგუფი იმის დამიხედვით, თუ თვითეულ მეურნეობაში რამდენი თავი ცხვარია.

7. ცხვრის რძის პროდუქტების გადასახადი გაღებულ უნდა იქნეს მსუქანი (ნაღებ მოუხდელი რძის) ცხვრის ყველით შემდეგი განაკვეთის მიხედვით:

მეურნეობა, რომელსაც ჰყავს ცხვარი	გადასახადის განაკვეთი თვითეულ თავზე მსუქ. ცხვრ. ყველით გირ.
11 75	ერთი მეოთხედი
76 200	სამი მერვედი
201 500	სამი მეოთხედი
501 და მეტიც	1 გირვანქა

შენიშვნა: თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის საერთო ჯამის გამოსაანგარიშებლად თითო თავზე განსაზღვრული განაკვეთი გამრავლებულ უნდა იქნეს იმდენჯერ, რამდენიც ამ მეურნეობაში ცხვარია.

8. ის მეურნეობა, რომელსაც თერთმეტ ცხვარზე ნაკლები ჰყავს, განთავისუფლებულ უნდა იქნეს ცხვრის რძის პროდუქტების გადასახადისაგან.

9. გადამხდელს უფლება აქვს გადასახადის ჩაბარების დროს ერთი პროდუქტი მეორეთი შესცვალოს შემდეგი საფუძვლით.

ჩაბარება უნდა მოხდეს გირვანქობით. ნაცვლად ერთი გირვანქისა.	ძროხის ერბო (გადაუდნობარი)	მსუქ. ყველ (ნაღ. მოუხ. ცხვ. ან ძრ. რძისა).	უმსუქ. ყვ. (ნაღ. მოუხ. ცხვ. ან ძრ. რძისა).	გადამდნ. ერბო (ძრ.)	ჭყინტ. ყვ.
ძროხის ერბო (გაუმდნარი . . .		2 გირ.	6 გირ.	3 მეოთ. გ.	2 გ.
მსუქანი ყველი (ნაღებ მოუხდელი ცხვრისა და ძროხის რძისა) . .	ნახევ. გირ.		3 გირ.	3 მერვ. გ.	1 გ.

10. სასურსათო სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა განსაზღვრული ცალკე ადგილებისათვის სავალდებულოდ დააწესოს გადასახადის ჩაბარება რძის ამა თუ იმ პროდუქტით, პროდუქტების შეფარდების საფუძვლით, რომელიც დადგენილია წინა მუხლში.

11. თვითეული ცალკე მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს ნატურალური გადასახადის სამაზრო კომისია, რომელიც გათვალისწინებულია პურის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

12. გადასახადი აკრეფილ უნდა იქნეს იმ ვადაზე, რომელსაც დააწესებს სასურსათო სახალხო კომისარიატი, ხოლო არა უგვიანეს 1921 წლ. დეკემბრის 15 სა.

13. გადამხდელთაგან მიღებული რძის პროდუქტი უნდა იყოს კარგის თვისებისა და მიტანილ უნდა იქნეს თვით გადამხდელთავე საშუალებით დაწესებულ მიმღებ პუნქტებში დამამზადებელ კონტორისა, კოოპერატივის საწყობში და სხვ.

14. ამა დეკრეტის აღსრულება

დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

14. ამა დეკრეტის აღსრულება დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

15. ის მოქალაქე, რომელიც არ გაიღებს გადასახადს დაწესებულ ვადაზე, აგრეთვე ის, ვინც წარადგენს ყალბ ცნობას რძის პროდუქტების გადასახადის თაობაზე მიეცემა პირად და ქონებრივ პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით.

15 დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტ. თავმჯდომარე **ბ. მდივანი**
სასურსათო სახალხო კომისარის მოადგილე **ა. ერქომაიშვილი**
რევოლიუციონური კომიტ. მდივანი **ალ. საღარიძე**
1921 წ. სექტემბრის 7.
ტფილისი სასახლე.

დეკრეტი № 72.

საქართველოს სოც საბჭოთა რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა. ხილის ნატურალური გადასახადის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს: შემოღებულ იქნეს ამა 1921 წლისათვის ხილის ნატურალური სასურსათო გადასახადი—ვაშლსა და მსხალზე და თხილისა და კაკალზე.

2. გადასახადი უნდა დაედოს იმ მეურნეობას — ადგილ მდებარეობის მიუხედავად (ე. ი. სოფლად, ქალაქად და სხვ.),—სადაც მოიპოვება ვაშლისა და მსხლის განაშენი.

3. ხილის გადასახადის ასაკრებად დაწესებულ უნდა იქნეს მეურნეობის თერთმეტი ჯგუფი 1921 წ. ამა თუ იმ მთელი მეურნეობის ყოველგვარი ჯიშის ვაშლისა და მსხლის საერთო მოსავლის მიხედვით.

4. ხილის გადასახადი გაღებულ უნდა იქნეს საზამთრო ჯიშის ვაშლით შემდეგი რაოდენობით:

რომელსაც ყოველგვარი ჯიშის ვაშლის და მსხლის მოსავალი 1921 წ. ფუთობით უდრის:	11—20	21—30	31—40	41—50	51—75	76—100	101—125	126—150	151—175	176—200	200 მეტი.
გადასახადი გამოიღება მთელი მეურნ. ფუთობით . .	1	2	3	4	7	10	14	18	23	28	ყოველ მოსავლის 200 ფ. ზევით—28 ფ. და მოსავლის თვითეულ 25 ფუთზე (სრულ ფუთზე) თითო ფუთი.

5. მეურნეობა, სადაც ყოველგვარი ჯიშის ვაშლისა და მსხლის მოსავალი 1921 წელს ათ ფუთს არ აღემატება, განთავისუფლებულ უნდა იქნეს ხილის გადასახადისაგან.

6. იმ მეურნეობას, სადაც 1921 წელს საზამთრო ჯიშის ვაშლის მოსავალი მის ხვედრ ხილის გადასახადის რაოდენობაზე ნაკლები იქნება,—შეუძლიან გადასახადი საზამთრო ჯიშის მსხლით გაიღოს.

7. იმ მეურნეობისათვის, სადაც ხილის—ხმობას სამრეწველო ხასიათი აქვს, სავალდებულოა ხილის გადასახადი გამხმარი ხილით გაიღოს, თანახმათ ამა დეკრეტის მე-8 მუხ. და დგენილი შეფასებისა.

8. გადასახადის გამღებთ უფლება აქვთ ხილის გადასახადი, ნედლი ვაშლისა და მსხლის მაგიერ, გამხმარი ხილით ჩააბარონ—ვაშლისა, მსხლის, გარგარისა (ჭერამისა), ატმისა, ქლიავისა, ალუბლისა და კომშისა—იმ ანგარიშით, რომ ერთი ფუთი ნედლი საზამთრო ჯიშის ვაშლი და მსხალი უნდა უდრიდეს:

	გამხმარ ხილს გირვანქობით	
	კან გაფცქვნილს და გულ ამოღებულს.	გაუფცქვნელს.
ვაშლი	5	7
მსხალი	5	6
ატამი	6—ერთი მეოთხ.	7 ნახ.
გარგარი (ჭერამი) . .	6—ერთი მეოთხ.	7 ნახ.
ქლიავი	10	14
კომში	9—ერთი მეოთხ.	7 ნახ.
ალუბალი	9	12

9. თხილისა და კაკლის გადასახადი უნდა დაედოს ისეთ მეურნეობას,—ადგილ-მდებარეობის მიუხედავად (ე. ი. სოფლად, ქალაქად და სხ.), სადაც თხილის ბუჩქები და კაკლის ხეებია, როგორც ცალკ-ცალკე ნარგი, ისე განაშენი.

10. თხილის და კაკლის გადასახადის საკრებად დაწესებულ უნდა იქნეს მეურნეობის რვა ჯგუფი 1921 წელს ამა თუ იმ მთელი მეურნეობის თხილისა და კაკლის საერთო მოსავლის მიხედვით.

11. თხილისა და კაკლის გადასახადი იღება შემდეგი რაოდენობით:

რომელსაც თხილის და კაკლის მოსავალი 1921 წ. მთელ მეურნეობაში ფუთობით აქვს	6—10	11—20	21—30	31—40	41—50	51—75	76—100	100 მეტი.
გადასახადი გამოიღება მეურნ. ფუთობით	20 გ.	1 ფ. 20 გ.	2 ფ. 20 გ.	3 ფ. 20 გ.	5 ფ.	9 ფ.	14 ფ.	ყოველ მოსავლის 100 ფუთს ზევით 14 ფუთს და თვითეულ 25 ფუთზე (სრულ ფუთზე) თითო ფუთი.

12. მეურნეობა, სადაც 1921 წელს თხილისა და კაკლის მოსავალი ხუთ ფუთზე ნაკლები იქნება, განთავისუფლებულ უნდა იქნეს თხილისა და კაკლის გადასახადისაგან.

13. თვითეული ცალკე მეურნეობისათვის ხილისა და კაკლისა და თხილის გადასახადის დაწესებას ნატურალური გადასახადის სამაზრო კომისია, რომელიც გათვალისწინებულია პურის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

14. გადასახადი აკრეფილ უნდა იქნეს იმ ვადაზე, რომელსაც დააწესებს სასურსათო სახალხო კომისარიატი, ხოლო არა უგვიანეს 1921 წლის დეკემბრის პირველისა.

15. გადასახადის გამღებთაგან შემოსული ნედლი და გამხმარი ხილი და კაკალი და თხილი უნდა იყოს კარგის თვისებისა და მიტანილი უნდა იქნეს თვით გადამხდელთა საშუალებით დაწესებულ მიმღებ პუნქტებში—დამამზადებელ კონტორისა, კოოპერატივის საწყობსა და სხვა.

16. ამა დეკრეტის აღსრულება დაევალოს სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

17. ის მოქალაქე, რომელიც არ გაისტუმრებს გადასახადს დაწესებულ ვადაზე, აგრეთვე ის, ვინც ყალბ ცნობას წარმოადგენს ამა გადასახადის თაობაზე, მიეცემა პირად და ქონებრივ პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით.

18. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**
სასურსათო სახალხო კომისარის მოადგილე **ა. ერქომაიშვილი.**
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. საღარიძე.**
1921 წ. სექტემბრის 7.
თბილისი სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

მელანია ათანასეს ასული ამილახვარისა აუწყებს ნაცნობებს და ამხანაგებს თავის მეუღლის

ალექსანდრე ილიას ძე ამილახვარის

გარდაცვალებას და სოფელ ქვემო ჭალაში დასაფლავების შესახებ, მარიობისთვის პირველ რიცხვებში.

პარტიულ ორგან. და წევრების საყურადღებოთ

ცენტრალური კომიტეტი ტანსაცმლით და ფულით დახმარებას აღარ აწევს. ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილებით აკრძალულია მისდამი ასეთი თხოვნით მიმართვა.

ც. კ. მდივანი მ. ოკუჯავა.

პარტიული

ს. კ. პარტიის თბილისის მე-4 რაიონის კომიტეტი აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ სამშაბათს, 13 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა კლუბში შესდგება საერთო კრება პარტიის მე 4 რაიონის ყველა წევრთა და კანდიდატებისა და ამავე რაიონის ახალგაზრდათა კომკავშირის წევრთა.

დასწრება სავალდებულოა ყველა ამხანაგებისთვის.

პასუხისმგებელი მდივანი (ხელ მოწერილია).